

დღევანდელი

(„რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის“)

19 თებერვალი.

პეტროპოლისი. 19 თებერვალს კადეტთა კორპუსმა ილდესასწაულა თავისი დაარსების 169 წლის არსებობის დღესასწაული. წირვის წინაღობა მომხრეობდა სამხედრო სასწავლებელთა უფროსი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. უივსტრუესი კადეტები იოანე კონსტანტინეს ძე და გაბრიელ კონსტანტინეს ძე კადეტთა შორის იმყოფებოდნენ.

მინისტრის ბოგოლეზოვის ბიულეტენი: „ღამე მშვიდად გაატარა; ადგილობრივი მოვლენანი ქრილობის არეზე უცვლელადაა; აგრეთვე ყლაბა და სუნთქვა; თვითგრძობა გვარაიანა“.

კოლსპარტი. შტეინი და დევეტი 1500 კაცი 15 თებერვალს გავიდნენ ორანჯეს მდინარის გაღმა ლიმენფონტანთან, კოლსპარტის დანგრეულ ხილთან, ახალშენების მსროლელთა ცეცხლ ქვეშ. მსროლელთა კარგი საფარი აქვთ და კიდევ მოჰკლეს რამდენიმე ბურთი. მდინარის სიდიდის და ჩქარის მიმდინარეობის მიუხედავად, ბურთებმა მაინც მოახერხეს რვა ფურგონის გადატანა, ხოლო ხუთი კი მათის ცხენებით ვეღარ გადაიტანეს. ლილიენფონტანელმა ფერმერმა განაცხადა, რომ შტეინი სახით ძალიან ავადმყოფს ჰკავდა და რომ საერთო მთელი რაზმი იტანჯება ძლიერის შიმშილისაგანაო.

სიღნეღი. ავსტრალიელი ჯარების ხელახლად სამხრეთ-აფრიკიდან წასაყვანად მოსულ გემზე გარდაიცვალა ერთი კაცი, როგორც აღმოჩნდა, შავის ქირით.

ბრისბენი. ბრისბენის ახლო იყო ორი შემთხვევა შავი ქირით ავადმყოფობისა.

კავკასიის შავი ქირით თანდათან ძლიერდება. გუშინ და დღეს ცნობილია 11 ახალი შემთხვევა. ავადმყოფთა შორის არის ერთი ევროპელი ქალი. გარდა ამისა აღმოჩნდნენ ხუთი ზანგის გვამი.

სოფია. ახალი კაბინეტი ამინარად შესდგა: კარაველი დინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად და ფინანსთა, სარაფოვი—ზინაგან საქმეთა მინისტრად, დანევი—გარე საქმეთა მინისტრად, როდევი—იუსტიციისა, სლოვეიკოვი—მიწათმოქმედებისა და პარიკოვი—სამხედრო მინისტრად.

(საღამოს დემოკრატის იხილეთ მე-4 გვერდი)

ქურნალ-გაზეთებიდან

საფრანკეთის მუშების დასის უმთავრესმა კომიტეტმა ამ დღეებში პროტესტი გამოაცხადა ჩინეთის ომისა და ევროპელების ქვეყნის წინააღმდეგ. პროტესტი, სხვათა შორის, ნათქვამია:

„გაყვანილნი სურათსმარისი კონფერენციის დადგენილებანი ვადად სდებენ უკუა სხედასწიფოს, რომლებსაც სელი მოაწერეს სხედასწიფოს დადგენილებათ იურით ადრეული ქადაქიცი კი არ აიკლას და არ გაცნობდნენ, არ დასწინა მოწინააღმდეგე მტერი, როდესაც ის აარდას დაჭურის და გამარჯვებულს მოპირდაპირეს დაჭურება, არ გამოაცხადონ, რომ არაფერ არ დაინდობთ, არ დაუშინონ ისეთ ქადაქებს, სოფლებს, სახლებს და შენობებს, რომლებსაც არაფერ არ იცნოს. როგორ ასრულებენ ამ დადგენილებათ? უკუა დაწერდნენ ქადაქები ჩინეთში მთელი თვეებისა და კვირების განმავლობაში ახრებდნენ და აკლავდნენ ეძლეოდნენ. ტყვეებს ან თოფითა ჰხრებდნენ, ან ხეობებზე აკლავდნენ, ან თოფის განდახებითა ჰკლავდნენ. ის ქადაქებიც კი, რომლებიც გამარჯვებულნი არ იყვნენ, ისინიც კი ცეცხლს და მახვილს მიეცნენ. ოფიცრები და მისიონერები ორიოდე დღეში დაიშინებდნენ იქნდნენ. ერთს და იმავე დროს ჯარის კაცების ერთი რატი სცნებოდა, მეორე რატი შუბის წვერზე აკლავდა აკლავდა, მესამე რატი ნამუსს ხდიდა დედაკაცებს და მეორე ჰკლავდა. ეს მხეცები ურანგებ

წერილებში თითონ აღიარებდნენ ამ საზარელ საქციელს. ამ უმად ამხადებენ ახალ კლავებებს შენისში, — ესე იგი ამხადებენ ახალ მკვლელობას, ცარცვას და ცეცხლის წაქედებას. მუშების დასის მოვალეობაა — პროტესტი გამოაცხადონ ომის განგრძობის წინააღმდეგ. საფრანკოები დიდი ხანია, რაც უშიშრად არიან და ჩინეთიც დიდი ხანია, რაც უხეშად თხოულობს. შეერთებული შტატები, იანონია, რუსეთი, ავსტრია და იტალია ემზადებიან თავიანთ ჯარების გამოსაყვანად, ზოგმა გამოიყვანა კიდევ. მამ საფრანკეთი, ინგლისი და გერმანია რისთვის სტრეგებენ იქ თავიანთ ჯარებს? რისთვის არის საჭირო ეს განუწყვეტელი გადაჭრება ჩინეთის შუაგულში, თუ არა ძარცვისა. მკვლელობისა და სხვა მახედასწიფობისათვის?.

აღრესის განხილვის დროს ინგლისის დემოკრატთა პარტიამ ირანდოელების მეთაური ჯონ რედმონდი ამტკიცებდა, რომ აწ არსებული ადგილ-მამულის შესახებ კანონ-მდებლობა ირანდიაში სრულებით არაა სკამო და თხოულობდა ისეთი ახალი კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც შეატრებდნენ დედამამულები მოვალეები უნდა გახდნენ შესაძლებლობის ფერმერებს მამულის. რედმონდის სიტყვით, 1881 წელს გამოცემულმა კანონმა სრულებით არ გააუმჯობესა ფერმერების მდგომარეობა, შეატრანებდნენ დაღუპვის გზაზე დაუკნაო. ხალხის გადასახლება ირანდიაში არაა კლებულობს. რათა კანონი მამულის ვადასწიფობის გამოცემისას სრულყოფილ იქნას, სახედასწიფო ხალხს უნდა მიეშველდნენ ირანდოელებს. დასასრულ, რედმონდმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა დასკამოელებს ირანდიის ერის სურვილს, რომ ის არ მოიცილდეს იმ დრომდე, როდესაც ირანდიის ერთი შესრულებს თავის სურვილს. რედმონდს მხარი მისცა რისკელმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ირანდოელები არ აიღებენ ხელს თავიანთ მეტადინებობაზე და მთავრობის წინააღმდეგობა და სიკვრებე მხოლოდ არეულობას დაჰბადებს ირანდიაში. მთავრობის მხრივ ბადაფერმა უნდასხეს ირანდოელებს. მან განაცხადა, რომ მამულის შესაძლებლობის კლანდელი წესიც ძალიან კარგად მოქმედობს და დიდი სარგებლობაც მოაქვს ირანდიის ერისათვის. ამ უნახსენებელ 20 წლის განმავლობაში მთელი ირანდიის ადგილ-მამულის მეთაური ნაწილი არჩედატორების ხელში გადავიდა და ამ ქვეყანა იცხადა 58—65 ათასი მიწის მუშა შესაკურთხე იქნება. ინგლისის მრეწველები არასოდეს არ დასთანხმდებიან ამისთანა უკადურეს დონის ძიებას, როგორც არის მამულის ვადასწიფობის შესაძლებლობა ხალხის შემწიფობით ამ უმად კი, როდესაც ინგლისი უამისოდაც ისეთ გაჭირებაში ჩავარდა სამხრეთ-აფრიკის ომის გამო, რომელიც შეტად ძიარდა დაუჭდა ჩვენ ქვეყანას, ინგლისის ერთი გიგანად ჩავარდა იმ მინისტრებს, რომლებიც ამისთანა წინადადებას წარმოადგენენ პარტიას. ამის შემდეგ რედმონდის წინადადება უარ-ყოფილ იქნა 235 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 140 ხმისა.

ინგლისურ გაზ. კეინინგ ტელეგრაფში დაბეჭდილია ერთი ინგლისელი სერჟანტის წერილი სამხრეთ-აფრიკიდან. ამ წერილში შემდეგია ნათქვამი ბურების საზარელ გენერალ დემეტრე.

„აქ სამხრეთ აფრიკაში, სწორედ რომ ვსთქვათ, არის მხოლოდ ერთი ნამდვილი საზრდალი, ეს არის — ბურების გენერალი დემეტრე. ეს გამბედაობითა და მხეცრებით, სწორედ რომ, სჯობია უკუა ჩვენ ინგლისულ გენერლებს ერთად. დილით გვიგებთ, რომ დემეტრე ასი მილის მანძილზე ჩვენი პანაჯიანია, შუადღისას კი ამავე მილის, რომ დემეტრე მხოლოდ რამდენიმე მილის სიშორეზე და ჩვენი ჯარის მარცხებს ახე მარჯვენა ფრთიდანაო. როგორც ხანს, დემეტრისათვის შეეძლებული არა არისრა. უკუა დღე ი უობინებიან, რომ წე შემოვივლეთ, მერე კი გამოდის, რომ დემეტრე ეინულებზე გადურა ჩვენი ტყვიანი გენერლები: ის ისე დაათრეეს ჩვენს გენერლებს, როგორც ჰსურს, საით მხარესაც უნდა იქით მიჰქაეს. ჩვენი ჯარის კაცები, რომლებიც იმისთან ტყვედ იყვნენ, — ამით ხომ თვლა არა აქვთ; — მეტის

შეტად აქებენ დემეტრის კამოცობას. ის ბურებს სცემს ტყვე ტყვეობის (ინგლისურად) ვარის კაცის შეტად სახედასწიფოს. მანამ სძულს თავის მხარეს სხედასწიფოს, ავსტრალიის და ინგლისის მხარეს სიტყვით, დემეტრე ძალიან უმადია! ინგლისის მთავრობა დიდი მოვალეობა იმყოფს სახედასწიფო თავის ჯარისათვის. ამავე მოსამსხურებულები დატოვებს ჯარში. კაცებს დღე-ღამეში 7—10 მილისგან უმადობდებიან, ამის გარდა უკუა სარგებლობა რამ ბურის ვერავის მოვობენ, რადგანც დამ იცის, რომ ცუდ დღეში ჩავარდები. და უმადობა, რომ ბურები არ აიღებენ წინააღმდეგობაზე, თუ ამით არ დურდნენ დამოუკიდებლობას, სოფო ბურები ნამდვირნი არიან ამ დამოუკიდებლობისა. ბურებს გენერალი დემეტრე უკლებათ დის ასწავლის ჩვენს გენერლებს, თუ რა ნამდვილი ომი, მანამდე არ მგონია, რომ ინგლისმა გამარჯვდეს.

ახალი ამბავი

დღეს, შუადღის 12 საათზე, ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიაში, ვადი იქნება პანაშვილი განსვენებულის მკვრელთა. ერისთავის სულის მოსახსენებლად.

კავკასიის მთავარმართებლის დედასა და მისი შვილების განკარგულებით, ქუთაისის ქვის თავი ლუარსაბ ლოლოვა დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად თვით ლოლოვნიანა.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებმა მოუვიდა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ანხანაგისაგან, რომ მავალ გამოთენის პროგრამა ახლო ვალში დამტკიცდებო.

პეტერბურგიდან იწერებიან, რომ წალ-მოქმედების სამინისტროში აღბეჭკთხვა შესახებ ტფილისის საბალონოსლის მდგომარეობის გაუმჯობესების მის ხსენებულ სამინისტროს უწყებაში დატანისა.

პეტერბურგიდან გვატყობინებენ პროექტს კავკასიაში ბეთილებს შტაგალიდების შესახებ განიხილავს სახედასწიფო საბჭო ამ გაზაფხულის სესიონში.

ორშაბათს, 19 თებერვალს, კრება ახალქალაქის მაზრაში მიწის ბეჭედი დაზარალებულთათვის დამხმარე ტეტისა, ტფილისის გუბერნატორის დამარეობით. კრებაზე ლაშარაკი იყო ზარალბულთათვის სახლების აშენებაზე საჭირო სახლების აშენებას მოუწოდებდა 80,000 მანეთი. კომიტეტს აქვს ხელა მოწირული ფული — 116,000 მ.; ამავე ბაზე აღძრული იყო კითხვა „გოტენტო ბალონიჯოსაგან“ დაზარალებულთათვის წევობის აღმოჩენაზე, მაგრამ ამით არა დგენიათ რა და კითხვის გადაწყვეტა დღე იმ დროსათვის როცა კომიტეტის წევრი ბბ. ვეიდენბაუმი და კოლანთაროვი მელნიც ახალქალაქის მაზრაში არიან გნოილი საქმის გამოსარკვევად, თუ მოხსენებან წარმოუდგენენ კომიტეტს.

ტფილისში ხმა გავრცელდა, ინგლისის გემი, რომლითაც ბათუმში დღეებში გაემგზავრენ მამპალიანთა მკვლელები მეკაში, შავს ზღვაში დაღუპვნიდნენ მართალია ეს ამბავი, არ ვიცნობ.

მკითხველებს ესხომებათ, რომ შახალქალაქის მაზრის ზოგიერთ სოფელს მცხოვრებთა ნათესობა მთლად გაერთოვარმა მტერმა ესრედ წოდებდა „გოტენტოტურმა ბალონიჯომ; რომ უკვე გვქონდა აღნიშნული, 40 სოფელ დაზარალდა მოუსაფლობით, რომ თონამუშევარი მცხოვრებთ იანერამდის თ მოჰყვებოდათ. ამას წინაღობა მთავრობის გაიგზავნენ ახალ-ქალაქის მაზრაში ბნოლანთარი და ვეიდენბაუმი, რომელთა გუშინ უკვე დაბრუნდნენ ტფილისში და რომელთაგანაც შევიტყვეთ,

ეტად ცუდს მდგომარეობაში არიან განსა-
 უთრებით სოფლები გილდენი, კოტენია,
 ჟურჯოეთი, კრეიანა და სხვანი, რომელთა
 ცხოვრებთ არავითარი სახსარი არ აქვთ
 ავი გამოიკვებონ. ხალხი უპურობით ისეთს
 შევიწროებულს მდგომარეობაშია, რომ
 შეიძლება სახსარს—შინაურ პირუტყვს
 ახლოს და სხვას—ალარ ზოგავს გასასყიდად,
 აღიარდ ორიოდ გროში გამოაჩენ და მით
 აზრლო შეიძინონ სადმე. ამას წინადა კვე-
 ასიის სამეურნეო საზოგადოებამ გარდასწ-
 ვიტა ხელის მოწერა გაემართა მოუსავ-
 ლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ,
 მაგრამ აქამდე ხალხისათვის არავითარი შემ-
 ყობა არ სჩანს.

➔ რადგანაც ამიერ კავკასიის ქალაქებში
 ახალ გადასახადების გაწერა საგუბერნიო
 ამართველოებს აქვს მინდობილი და ცო-
 ღა დროა დარჩენილი ამ გაწერის მოხდენი-
 სათვის, ტფილისის საგუბერნიო ადმინის-
 ტრაციამ სთხოვა უმაღლესს მთავრობას აუ-
 ხსნას მას, თუ რამდენია 1901 წლისათვის
 ტფილისის გუბერნიის ქალაქებზე გაწერილ
 გადასახადის საერთო ჯამი.

➔ მთავრობის კანონთა და განკარგუ-
 ლებთა კრებულში“ ვკითხულობთ, რომ
 პოლიციის გუბერნიების საერთო საკრე-
 დიტო საზოგადოებას ნება დაერთო იქონიოს
 მიწერ-მოწერა თავის საქმეების შესახებ პო-
 ლიციურ ენაზე.

➔ საერო განათლების სამინისტროში
 აღიძრა კითხვა რეალურ გიმნაზიებში ახალ
 ენების პროგრამების გადიდების შესახებ.

➔ ფინანსთა სამინისტროში ხელახლად
 აღიძრა კითხვა შესახებ თამბაქოს ვაჭრო-
 ბის შესახებ მოწოდების შემოღებისა.

➔ მიწად-მოქმედების მინისტრის გან-
 კარგულებით, დაიბეჭდა და გამოიცა კახე-
 თის მებღებთა და მვეცხანთა წარსულ კრე-
 ბის ყველა რეფერატები და ოქმები.

➔ ტფილისის საბჭოს შემდეგი სხდომა
 ექნება ხუთშაბათს, 22 თებერვალს.

➔ ხუთშაბათს, 22 თებერვალს, სხდომა
 ექნება ქალაქის სკოლების გამგე-კომისიას,
 რომელსაც განსახილველად აქვს ისევ ის
 საქმეები, რომელნიც დარჩნენ წასულ კვი-
 რაში განსახილველნი, რადგანაც სხდომა კო-
 მისიის წევრთა დაუსწრებლობის გამო არ
 შესდგა.

➔ გუშინ სხდომა ჰქონდათ ტფილი ის ქა-
 ლაქის გამგეობის წევრებს, ბეითალებს და
 ხორციის ვაჭრებს იმ კითხვის გამოსარკვევად,
 თუ რა მიზეზთა ტფილისის ბაზარზე ხორციის
 სიმცირისა. ბეითალებისა და ვაჭრების აზრით,
 ამ მოვლენის მიზეზია: 1) საქონლის ჭირის
 გავრცელება თითქმის მთელს ამიერ-კავკასი-
 აში და მითი გამოწვეული კარანტინები, 2)
 ფულის სიძვირე ფულის ბაზრის კრიზისის
 ნაშთი; 3) ვალდებულება საქონლის უთუოდ
 რკინის გზით მორეკისა, 4) შეწყვეტა ჩრდი-
 ლეთ-კავკასიიდან საქონლის მოდენისა და
 სხვ. გარდა ამისა, ამავე მოვლენას ხელს
 უწყობს, ვაჭრების სიტყვით, ის უკანონო
 გადასახადიც, რომელსაც საქონლის პატრო-
 ნებს კარანტინებზე ახდენენ. მიუხედავად
 ამ გარემოებათა, დასძინეს ვაჭრებმა,—შე-
 იძლება მეტი საქონელი მოერეკათ ტფი-
 ლისის ბაზარზე, თუ ქალაქის თვით-მ რთვე-
 ლობა საქონლის ნამდვილის ფასის შესა-
 ფერს ხიზს დანიშნავდესო. ეხლანდე-
 ლის პირობების მიხედვით, მათის აზ-
 რით, გირვანქა ძროხის ხორცი—11 კაბ.
 და ცხვრისა—12 უნდა იყოს. სხვათა შო-
 რის გამგეობა შეეკითხა ვაჭრებს ნიხრის
 სრულებით მოსპობის სარგებლობაზედ. ვაჭ-
 რების აზრით, ნიხრის მოსპობა მოუხერხე-
 ბელია, რადგან მყიდველი მეტად შეეფია მას;
 სამაგიეროდ ითხოვეს შემოღებულ ექმნას
 საცდელად ხორცის ორ ხარისხად დაყო-
 ფა; პირველი ხარისხის ხორცი—15 კაბ.
 გირვანქა და მეორე ხარისხისა კი 9 კ.

➔ დღეს, 21 თებერვალს, ქალაქის გამ-
 გეობის სადგომში სხდომა ექნება ქალაქის
 საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობი-

ლი აქვს ქალაქში ხორცსა და პურზე ნიხ-
 რის დაარსების საქმე.

➔ ქალაქის ვექილმა შეიტანა ტფილი-
 სის ქალაქის გამგეობაში განცხადება, რო-
 მელშიაც იგი თხოულობს, რათა მოსპობილ
 იქმნას ქალაქის საჩივრები იმ პირთა შესა-
 ხებ, რომელთა ვექილები სხვა ქონებას-
 თან ერთად დაუტოვა ქალაქს განსვენებულ-
 მა ნ. ზუბოლოვმა. ვექილის მიერ შეკრე-
 ბილ ცნობებიდან სჩანს, რომ არც ერთ ამ
 პირთაგანს არა გააჩნია რა და ამიტომ ქა-
 ლაქი მათ ვერაფერს გადაახდევინებს.

➔ ტფილისში განკარგულება მოსულა
 პარაკლისები გადახადონ სასწავლებლებში
 საერო განათლების მინისტრის ავთოყოფო-
 ბის გამო.

➔ გუშინ, 20 თებერვალს, საღამოს 8
 საათზე, ამიერ კავკასიის რკინის გზის ტფი-
 ლისის სადგურზე ვილაჯ ბოროტ-განმზრახ-
 ველმა ჯიბიდან ამოაცალა 1200 მანეთი
 ავქალის მცირე წლოვან დამნაშავეთა გა-
 მასწორებელ ახალშენის დირექტორს ბ-ნ
 ბეკენდორფს.

➔ ორშაბათს, 19 თებერვალს, ღამით,
 როგორც სადგურ ავქალიდან გვატყობინე-
 ბენ, ვილაჯ ბოროტ-განმზრახველთ მოუპა-
 რავთ სადგურის კასსა, რომელშიაც 669
 მანეთი ყოფილა, ქურდები ვერ აღმოუჩნიათ.
 საშუალება მიღებული მათ აღმოსაჩნად.

➔ ხუთშაბათს, 1 მარტს, ტფილისის სა-
 მოსამართლო პალატაში განსახილველად
 დანიშნულია, სხვათა შორის, საყურადღებო
 საქმე დ. საჩხერის ბოქალად ნამყოფის
 ფიცხელაურისა და მომრიგებელ მოსამართ-
 ლის ყუბანეიშვილისა, რომელთაც სამსახუ-
 რის დროს ჩადენილი ბოროტმოქმედება
 ედებათ ბრალად.

➔ სიღნაღის მაზრის უფროსმა აღძრა
 ტფილისის გუბერნატორის წინაშე კითხვა,
 თუ რა საშუალებით გამოგზავნოს ტფილი-
 სის პასტერის სადგურში ცოფიან ძაღლები-
 საგან დაკბენილი სოფლები. ამ კითხვის
 გადაწყვეტას მარტო სიღნაღის მაზრისათვის
 არ ექნება მნიშვნელობა. ჩვენში ყველა
 სოფელი ამავე მდგომარეობაშია. ამას არ შე-
 უძლია თავის ხარჯით ჩამოვიდეს ტფილის-
 ში საექიმოდ.

➔ კვირას, 18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე,
 პოლიციის მე-3 ნაწილში, ბარონის ქუჩაზე, პოლიციის
 მოხელემ აიყვანა მიგდებული სამი-ოთხი დღის ბავ-
 შვი მამრობითი სქესისა; ბავშვი ოღვას საბებიო
 ინსტიტუტში იქნა გაგზავნილი.

➔ პოლიციის მე-7 ნაწილში შეიპყრეს ის ბოროტ
 მოქმედი, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინადა
 ქურდა არსენალის ქუჩაზე მცხოვრები მღვდელი
 კავსაძე.

ქალაქის საბჭო 19 თებერვალს

საბჭოს სხდომა დაიწყო საღამოს 9 სა-
 ათზედ. დაესწრო 27 ხმოსანი.

საბჭომ, მოისმინა რა ხმ. მალინინის გან-
 ცხადება ხმოსნობის თავის დანებების შესა-
 ხებ, ერთხმად დაადგინა სთხოვეს ბ-ნ მა-
 ლინინს დარჩეს საბჭოში, რადგანც უმისო-
 სოდაც ძლიერ შემცირდა ხმოსანთა რიცხვი
 და ამასთანავე აღარც ბევრი დროა ახალს
 არჩევნებამდე.

შემდეგ წაკითხულ იქნა მოწერილობა
 კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-
 პრეზიდენტის უგანათ. თავ. პ. გრუზინსკი-
 სს, რომელიც საზოგადოების სახელით
 სთხოვეს საბჭოს დანიშნოს წარმომადგენე-
 ლად ორი დეპუტატი მომავალ სამეურნეო
 სამრეწველო გამოფენის მომწყობ კომი-
 ტეტში. კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ხმ.
 ნ. ნ. ოსტროვსკი (27 თ. 3 შ.) და კ. მ.
 ალიხანოვი (24 თ. 6 შ.)

უნდადეთ ერთი კანდიდატიც ამოერჩიათ,
 მაგრამ რადგანაც ხმ. მკურ. ბაბოვს კენ-
 შის ყრით 15 თ. და 15 შვი ამოუვლდა,
 მეორეჯერ კენჭის ყრაზედ უარი განაც-
 ხადა და სხვა არავინ დაასახელეს. კანდი-

დტის ამორჩევა შემდეგ დროისათვის გა-
 გაილა.

შემდეგ შეუდგნენ გამგეობის იმ დადგე-
 ნილების განხილვას, რომლით მომავალ სამ-
 ხატვო სკოლას უნდა დაენიშნოს წლიურად
 2000 მან., მხოლოდ იმ პირობით კი, რომ
 ქალაქს ამ ფულით იქ სტიპენდიანტები
 ეყოლება.

ხმ. თაბაგოვი. განზრახული სამხატვრო
 სასწავლებელი 6 კლასიანი იქნება, რომ-
 ლის შესანახავად წელიწადში 20,000 მან.
 იქნება საჭირო, 13,000 მ. რომ მთავრო-
 ბამ იკისროს, ჩვენ ადგილობრივ 8,000 მ.
 მიანიც უნდა დაეხმარათ, რომ ტფილისში
 და არა სხვაგან სადმე განხორციელდეს
 მთავრობის ეს დადგენილება. ამიტომ, ჩე-
 მის აზრით, ქალაქმა ყოველ წლიობით
 4,000 მან. უნდა გადასდოს და მაშინ იმე-
 დი უნდა ვიქონიოთ, რომ სამხატვრო სას-
 წავლებელი ტფილისში დაარსდება.

ხმ. ვ. ნ. თაგ. ადუთინსკი. რაღა თქმა
 უნდა, რომ აღნიშნულ სასწავლებლის და-
 არსება დიდად ხელს შეუწყობს ჩვენის
 მხრით წარმატებას, მაგრამ თუ სახეში ვიქო-
 ნიებთ ტფილისის ქალაქის მეტად შევიწ-
 როვებულს მდგომარეობას, საკმარისი იქ-
 ნება 2,000 მანეთის გადადება, მხოლოდ
 ისე კი, რომ 1000 მან. სასწავლებლის გამ-
 გეთა განკარგულებაში იყოს, ხოლო მეორე
 1000 მან. ჩვენ სტიპენდიანტები გვეყოლოს.

ხმ. ს. ს. ბაბოვი თანახმაა თავ. არგუ-
 თინსკის აზრისა, მხოლოდ აცხადებს, რომ,
 2000 მან. გარდა, საჭირო იქნება, თუ ეს
 სასწავლებელი დაარსდა, ქალაქმა სადგომი-
 სათვის თავისუფალი მიწა დაუთმოს.

ხმ. ადუთინსკი და ბეშუთოვი თანახმანი
 არიან, მხოლოდ 2000 მან. გადაიღოს ამ
 საქმისთვის.

გამგეობის წევრი შესტაკოვი. ჩვენ ძალიან
 ბევრი ხარჯი გვაქვს სხვა და სხვა სას-
 წავლებლების ასეთი შემწეობის აღმოჩენით,
 ესე რომ 1/10 ქალაქის ბიუჯეტისა ასეთს
 ფულით შემწეობაზედ მიდის ამიტომ, თუ
 2000 მან. გადავებთ სამხატვრო სკოლის-
 თვის, კარგი იქნება ზოგიერთი ხარჯები შე-
 ვამციროთ; მაგ. სახალხო კითხვათა სექციის
 ეძლევა 500 მან.; ეს შეიძლება 200 მანე-
 თამდე შევამციროთ; გზარელების სკოლას
 ვაძლევა 300 მან., ნაცვლად კი 100 მან.
 მივცეთ და აი ამ შემცირებებით ჩვენ შეგ-
 ვიძლიან შეგვედგინა ის თანხა, რომელიც
 ეხლა საჭიროა სამხატვრო სასწავლებლისათ-
 ვის.

ხმ. ს. ს. ბაბოვი. მე წინააღმდეგი ვარ
 ასეთი უკვე დანიშნულ შემწეობათა შემცი-
 რებებზედ; მხოლოდ კარგი კი იქნება ყოველ
 წლიობით იყოს აღნიშნული, თუ ასეთი ხარ-
 ჯი რამდენი ექნება ქალაქს.

ცოცხლის კამატის შემდეგ საბჭომ ერთ-
 ხმად დაადგინა გადასდოს ყოველ წლიობით
 აღნიშნულ სასწავლებლისათვის 2000 მან.,
 რომელიც გადაეცემა სკოლის გამგეობას
 სრულს განკარგულებაში. საბჭომ აგრეთვე
 დაამტკიცა გამგეობის მოხსენება განსახივ-
 რონ ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქ-
 მეთა საკრებულოს გარდაწყვეტილება, რომ-
 ლითაც გაუქმებულ იქნა საბჭოს 11 დე-
 კემბრის 1900 წ. დადგენილება დამოუკი-
 ზედ დასაფასებელ გარდასახადის შეწერის
 შესახებ.

შემდეგ გამგეობის წევრმა ბ. შესტაკოვმა
 წარუდგინა საბჭოს ცნობები, თუ რომელ
 საგანზე რა გასავალი ექნება ქალაქს ამა
 1901 წლის განმავლობაში. მაგალითად:
 სახელმწიფო დაწესებულებათათვის ქალაქის
 ხარჯი 15,690 მან., ქალაქის თვითმმართვე-
 ლობის და ობოლთა სასამართლოს შესანა-
 ხავად 140,055 მან., ჯარების შესანახი გარ-
 დასახადი 128,126 მან., ქალაქის პოლიციის
 შესანახი 90,855 მან., ცეცხლის მქროველ
 რაზმის ხარჯი 24,000 მან., ქალაქის მოსაწ-
 ყობ-გასაწესრიგებლად 170000 მან. სულ—
 ქალაქის გასავალი ხარჯი იქნება 1,409,727
 მან. ე. ი. 150,102 მან. მეტი, ვიდრე შარ-
 შან იყო. როგორც თავის დროზედ გვექონ-
 და აღნიშნული, ხარჯთაღრიცხვის შედგენის

დროს აღიძრა კითხვა ქალაქის გამგეობის
 საკუთარ მდივნის თანამდებობის დაარსების
 შესახებ; თუმცა გამგეობამ ხმის უმეტესობით
 საჭიროდ იცნო ეს წინააღმდეგი გაუხდა, ხაუზინსკი-
 სს, ასე რომ გამგეობის და დაარსების შე-
 ერთებულ სხდომაზედ დაადგინეს დაარსე-
 ბულ იქმნას გამგეობისათვის ერთის საქმის
 მწარმოებლის თანამდებობა 1500 მან. ჯა-
 მაგირით წელიწადში, ისე რომ იგი იმავე
 დროს თანაშემწე იქნება თავის ნაწილში
 ქალაქის მდივნისა. ამ საგანმა გამწვავებული
 კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ხმოს.
 ადუთინსკი სცნობდენ ქალაქის მდივნის თა-
 ნამდებობის დამოუკიდებლად დაარსებას სა-
 ჭიროდ; ხმოსნები ბაბოვი და თავ. ადუთინსკი
 კი ამტკიცებდენ გადიდვას ამ თანამდებო-
 ბის დაარსება, ვიდრე კომისია დაამთავრებს
 ქალაქის თვითმმართველობაში ახლის შტა-
 ტების შემოსაღებად პროექტის დაბეჭდვას.
 ამ საკითხიდან ზოგიერთი ხმოსნები გადვი-
 დნენ იმ საგანზე, შეუძლებელი იქნება
 ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევო ქალაქის
 თვით მმართველობაში მოხელეთა დასაქო-
 რავებლად და ჯამაგირის მოსამატებლად
 14,500 მანეთი გადადებულ იქმნესო.

ხმ. ბაბოვი. გამგეობაში იმითი კი არა ხდე-
 ბარა, რომ თქვენ ბევრი გაქვთ სამუშაო,
 არამედ იმითი, რომ არ არის შემუშავებუ-
 ლი სისტემა სამსახურისა, რომ ყოველს
 მოხელეს განაწილებული ჰქონდეს სამუშაო,
 ერთი რომ ყელამდი სავსეა საქმით, მეორე
 უსაქმური დაიარება და სხვა.

ქაჯაქის მოურავი. ხმოს. ბაბოვი! მე ნებას
 არ ვაძლევათ, რომ სთქვათ ის, რაც ყოვე-
 ლივე საფუძველს მოკლებულია; მე ძალიან
 მივირს და არც მესმის, როგორ გაიგოს
 თქვენი მოსაზრება კაცმა, როცა შეერთებულ
 სხდომაზე მაგებზე ხმაჯ არ ამოვიღიათ და
 თანახმაც იყავით გამგეობის საქმის მწარმო-
 ებლის თანამდებობის დაარსებაზედ და ეხლა
 კი უარსა ჰყოფთ!

ხმ. ბაბოვი. მე მაშინ იმიტომ დავთანხმდი,
 რომ ეს თანამდებობა დროებითი იქნებო-
 და.

ხმ. კიუხარაინცი. როცა გამგეობის მეოთხე
 წევრის თანამდებობის დასაარსებლად აღიძრა
 კითხვა, მაშინ შეგვიპირდით, რომ ჩვენი საქ-
 მე კურიერის მატარებელივით გასწევდა წინ,
 მაგრამ ეხლაც ისევ ისე გაჩერებულია, რო-
 გორც მაშინ, თუმცა მეოთხე წევრიც მოგე-
 მათა; ეხლა მდივანის თხოვით და მგასვე
 გვირდებით; მე ეს არა მჯერა და წინააღმ-
 დეგი ვარ მაგ თანამდებობის დაარსებისა.

გამგეობის წევრმა თავ. ვ. ჩერქეზიშვილმა
 დიდხანს ილაპარაკა ქალაქის თვით-მმართვე-
 ლობის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.
 მან აღნიშნა, რომ საზოგადოდ ზოგიერთების
 და კერძოდ კიუხარაინცის მოსაზრება მხო-
 ლოდ სიტყვებიაო, რადგანაც არსად იმდენი
 შრომა არა აქვს მოხელეებს, რომ ორც ეს
 ქალაქის გამგეობაშიაო; ღამის 12 საათზედ
 რომ შეიხედოთ ჩვენს ბულატერიაში, მა-
 შინაც კი ნახავთ ჩვენს მოხელეებს მომუშა-
 ვეთ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ
 ვასწრობთ საქიეებს, რადგანაც არა გვეყოფ-
 ნის გადადებული ხარჯი, რომ საუკეთესოდ
 მომზადებული პირები დაევიპროთ, კარგი
 საფასი მივცეთ, რომ ნაშრომიც ნაყოფიერი
 გამოვიდესო. განსაკუთრებით ჩემი განყოფი-
 ლებაა ცუდს მდგომარეობაში, სადაც ნახე-
 რობა მოხელეებისა მომავლის იმედით უჯა-
 მაგიროდ იყავს და ამ პირობებში განა შესა-
 ძლებელია კურიერის მატარებელივით გაქა-
 ნება წინაო.

კარგა ხანს ვასტანა კიდევ ამ საგანზედ
 კამათმა; ბოლოს ქალაქის მოურავმა კენჭი
 უყარა კითხვას,—დაარსებულ იქმნას თუ არა
 გამგეობისათვის ერთი მოხელის თანამდებო-
 ბა 1,500 მან. ჯამაგირით წელიწადში; საბ-
 ჭომ 21 ხმის უმეტესობით მიიღო ეს წინა-
 დადება; ხოლო საკითხი, თუ რა უწოდონ
 ამ თანამდებას, შემდეგ დროისათვის გადაი-
 დვა.

სხდომა ღამის 12 საათზე გათავდა.

თეატრი

გაიხსნა საგასტროლო საპროგრამო-დგენების სეზონი. აღსრულებულ იქნა ვაგნერის ცნობილი ოპერა „ლოენგრინი“ გამოჩენილი არტისტ ქალის ქ. ბოლსკის მონაწილეობით.

გზაზე შევიკრიბა ვიქტორ, რომ ქ. ბოლსკის სამართლიანად დაუმსახურებია „შესანიშნავი“ არტისტის სახელი. მისი მშვენიერი გარეგნობა მეტად შეეფერებოდა პოეტურ და მომხიბლავ ელზას; მისი წკრილი და სავსე (pastosa) ხმა (ლიბრეტო სობრანო) და შეგნებული, მარტივი და მომხიბლავი თამაში დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზე. მე არ ვაღიარებ ქ. ბ. ბაბიანისა და ბოლსკის ამ როლის აღსრულებას, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ქ. ბ. ბაბიანზე ამას იქით აღარ ითქმის, რომ „შეუღარებელია“. პირველი ხმის ამოდებიდანვე ქ. ბ. ბოლსკამ მიიზიდა საზოგადოების ყურადღება. მან მოახდლო მსმენელები ხმის საკვირველად ლამაზის ტემპრიო; მისი ხმა თანაბარი, მძლავრი და სავსეა, როგორც შუა რეგისტრში, ისე მაღალში, ხოლო ცოტა სუსტია დაბალ რეგისტრში. პირველ მოქმედების მაჩვენებლის სცენაში საზოგადოება დარწმუნდა, რომ მას საქმე ექვს მეტად კვიან და ხელოვან არტისტთან. მეორე მოქმედებაში იტირის არტისტს ხელს უშლიდა საზარელი კვიელი ორტრუდის როლის აღმასრულებლის ქ. ბ. პლატონოვისა. მაგრამ რას იზამ, ასეთია ყველა გასტროლიორების ბედი!

ელზას როლი ბოლომდე მშვენივრად დაგვისურათა არტისტმა ქალმა ბოლსკამ; ნაქეტურ კარგი იყო მესამე მოქმედების დუეტის თავის რანდთან (ბ. ბორისენკო), რომლის შემდეგ საზოგადოებამ რამდენჯერმე ალტაცებით გამოიწვია არტისტი ქალი. სხვა არტისტებზე არას ვიტყვი, გარდა ბ. ბორისენკოს, რომელიც სწორედ ღირსეული ამხანაგი იყო ქ. ბ. ბოლსკის.

წინა წინე შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბოლსკა მომხიბლავი მარგარიტა იქნება „ფაუსტში“ და მშვენიერი ჯულიეტა გუნოს მეორე ცნობილი ოპერაში.

პროვინცია

ს. საბარეჯო. ამას წინა, სახელდობრ, 11 თებერვალს, სოფელ საკარეჯოში მისდა ერთი, თანაც სსსაცილო და თანაც სმწუხარო, ამბავი, რომელმაც, მგონია რომ, ბევრ გარეველზე უნდა იქნებოდა გაუგებარი. მაგრამ, ვიდრე მდის ამ ამბავზე ვილაშარავებდე, ნება მთავრად მოგასსენოთ შემდეგი: სოფელ საკარეჯოში ამ ბოლო დროს ძვირად გაიქცა სახელი ქურდობით და ავსტრალიით, კვირა არ გაუა, რომ არ დაიძინა, ამას და ამას ეს მოჭაჩაქისა ამას თიჯა დაუწვეს და სხვ. სხვათა შორის ასე წდას მეორე დღეს, დამით, ვიდაც ვაგუბრებმა გაუტყეს დუქნი ერთს ვაჭარბატანს, სახელდობრ: სოფლიან ანუაშვილს და გაიტანეს დუქნიდან თითქმის სამოცი თუმის საქნელი. მეორე დღესვე დაიწყო სოფელ-საკარეჯოს პოლიციაში ს. ანუაშვილის ქურდების ძებნა, მაგრამ ახლად მან თითქმის იმედა დაკარგა მათი პოვნისა, თუმცა თვითონ ს. ანუაშვილი გაიძინა, რომ ჩემს საქნელს უთუოდ ვაგუბრებო და აი ეს ძახილი აუსრულდა კიდევ სულ უბრალო შემთხვევის მადლობით როგორც დამტკიცდა და როგორც თვითონ გამოტყდა ქურდი სისო, ანუ როგორც სოფელში ესისიან სსსო მი—ქე, ამ ზემოხსენებულ პირს, მოხარვა—კი სტადნა და დამაღვა კი არა! გამოუტანია ძვირფასი ფარხა ანუაშვილის დუქნიდან, ზოგი მოუხმარებია და ზოგი კიდევ, წარმოადგინეთ, წაუღია აუგის კაღმა (ვაშლიანში) და ორმოში ჩაუფლავს, სრული იმედით, რომ ჩემი საქნელი არაფერ არ იცის; მაგრამ ვუკლა ეს კარგათ გაუგია და დაუნახავს იმის მეზობელს სოფლიან რასტიაშვილს, რომ

მელსაც ჯერ ჯერობით არ გაუგია ქურდი, იმიტომ რომ თანაც ქმინებია იმისი და თანაც უფიქრია: „სხვისა ჭირი, დამსხმის ჩინობა“. სოფლიანს სულაც რომ გაეცნო, მე რასა ვსრუ უფიქრია სოფ. რასტიაშვილს, მაგრამ სსსო იმასაც მადე სწევდა! მოუხარავს იმისთვის საზოგადოებრივი, დაუკლავს იგინი, ხორცს კარგათ შეჭქევიდა და ტუფი კიდევ შეუნახავს. რასტიაშვილს ეტვი, რასკვირევიდა, მი—ქესე მიუტანია და უთქვამს კიდევ, რომ ჩემი ცხვრების მომხარავი შენა ხარა ამ უკანასკნელს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძვირ სწევნა და დაუწვევია უფიქრად: როგორ თუ ქურდიო! ქურდი შენ თვითონ ხარა! რასტიაშვილს სწევნა ეს და, რომ დაეშტვიცებინა მი—ქეს ქურდობა, წაუყვანია სოფლის მოხელეები იმ ორმოხთან, სადაც ამ უკანასკნელის განხი ამოუფიქრდა, ამოუღებინა იგი და სოფელი გაუნციფრებია! ახ, რასკვირევიდა, აქვე დაუწვეს ცემა ქურდს, ღანძღეს, აფურთხეს და აი ბოლოს რა მოიგანეს: იქვე სადაც იმდენს დიდი განიკრი ფიცარი, დააღვაკეს სოფლიანს ფარხა, გაუღვეს ეს ფიცარი მხრებზე ძმებ მი—ქეს და ცემით გამოისტუმრეს სოფლისკენ (უფროსი ძმაც გათქმული გასდგათ ქურდობაში) ახ, რასკვირევიდა, ამ ვაგუბრებებს, რომ სოფელზე ამოუღებიათ, მთელი სოფელი კაჟინით დასდევებიათ. მოუყვანიათ ეს ვაგუბრები პასარში და ახ აქ უფიქრად თურმე სურათი: სამჯერ აატარეს და ჩამოატარეს თავიანთი ტვირთით, ერთხელ კიდევ მიტეიანეს იგინი და თავისივე ფეხით მოატანეს ფარხა ს. ანუაშვილთან. რამდენიმე საათის შემდეგ შეკრეს სსსო მი—ქე და გამოგზავნეს ქ. ტფილისში. იქნებ დამუტანა ქნას და ამ ქეჟის მასწავლებელ მაკალითის შემდეგ შინაც დაფრთხნენ სხვისი საკუთრების მოყვარულნი.

გარეკველი

სალამოს დებეშები

20 თებერვალა

პატარაზრბი. შავი-ჭირის მოწინააღმდეგე კომისია აცხადებს, რომ მანილოლაში (კუნძულ ლუკონზე), ფილიპეს კუნძულზე და სინგაპურში (მალაკის ნახევარ კუნძულზე) შავი ჭირი გაჩნდა.

საერთო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ავადმყოფობის ბიულეტენი იუწყება, რომ მინისტრის მდგომარეობა უკეთესდება.

ვაჟინგბონი. თავის ეპისტოლეში კონგრესის მიმართ მაკინლეი ურჩევს კონგრესს დაარსდეს უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო დამოკიდებულება ურთიერთობის დაცვით და პირობას აძლევს რომ შემდეგში ყველა უთანხმოების გასარჩევად სამედიატორო სამართალს. კუბას მაკინლეი პირდება კონსტიტუციას და ფილიპინელთ თვით-მმართველობის მინიჭებას, როცა მცხოვრებნი ამისათვის მომზადებულ იქნებიან.

პარიზი. პალატა. დელკასე ჩინეთის შესახებ დაკითხვაზე უპასუხებს, რომ არავითარი ექსპედიცია არა მზადდება და საფრანგეთი ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პატივსაცემ მიზნითა გამო; იგი ცდილობს აღადგინოს ჩინეთში წესიერება და სახეში აქვს საბოლოოდ გადაწყვიტოს ჩინეთის კითხვა საფრანგეთის ინტერესების მიხედვით. ფირმენ ფორი მკაცრად აკიცხავს სამედიატორო სამართლის განაჩენს, რომლით დერულელი დამნაშავედ იქმნა ცნობილი. ფორს რადენჯერმე მისცა შენიშვნა პალატის პრეზიდენტმა წესიერების დარღვევის გამო. დიდი აღფრთხილება გამოიწვია პალატაში ფორის სიტყვებმა, რომ ვითომ პალატა აღმასრულებელი ვალდების დაბალი მოქმედებთა და ჯალათის როლს ასრულებს. დემანელი სთხოვს პალატას ფორის გასამართლებას და პალატამაც დროებით გამოარცხა ფორი პალატიდან. უკანასკნელი წინააღმდეგობას აცხადებს და არ გადის პალატიდან. დემანელი

ქულს იხურავს და აღვილს სტრუვებს. დამწრეთ ითხოვენ პალატიდან. ფორი ტრიბუნაზე ჯდება. სხდომის განახლების შემდეგ პალატა უარყოფს პირმანის წინადადებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ პალატა თავის უმოაგრესს უფლებდა სთელის არავის მისცენ ნება დერულელს დერულტის უფლებანი წაართვას; შემდეგ შეიწყნარა კომისიის დადგენილება, რომ დერულელს და გაბერს უფლებანი ჩამოერთვას.

ლონდონი. პრეტორიიდან ოფიციალურად იტყობინებია: დევეტი ფილიპოლი-საკენ მიდის, მაგრამ მას წინ გაუსწრეს ჩვენმა ჯარებმა; ენლა ის მიდის ფოურესმიტზე ბაბინგტორმა დავლად წაიღო ერთი უბრალო და ერთი სწრაფლ მსროლელი ზარბაზანი. მდინარე ზელოუსთან 33 ბური და 50 ცენი წაყვანილ იქმნენ ტყვეთ, გენერალმა დარტნელმა დავლად წაიღო გოკისის ზარბაზანი პიტერტოფის ახლო, სადაც 50 ბურმა დაპყარეს იარაღი თავიანთ უფროსთან ერთად.

ლონდონი. პეკინიდან იტყობინებია, რომ იმპერატორი იქ მივა მარტის დამლევს. იმპერატორის მცველნი შეიკრიფნენ სიანფუში, ელჩებმა მო თხოვეს კიდევ 12 წარჩინებულ პირის და 90 პროვინციელი მანდარინის სიკედილით დასჯა. მოლაპაკების საქმის ჯგროვანმა მიმდინარეობამ შესაძლოდ პყო დაენიშნათ კომისია, რომელშიც თვალყური უნდა ადევნოს სამშვიდობო მოლაპარაკების ზოგიერთ დადგენილებათა შესრულებას, მხოლოდ სავაჭრო ხეკრულებათა გადაშინჯვის შესახებ მუხლები აბრკოლებენ მოლაპარაკების დამთავრებას: სახელმწიფოებს უკვე მსჯელობა აქვთ საზღაურის შესახებ.

შანხაი. აქედან დღეს ექვსი გემი გამოვიდა, რადგანაც უნიული ვაღნა. წელს ნავთსადგურებში უნიული უფრო აღრე ვაღნა, ვიდრე წინა წლებში.

როგორც სინანფულან იტყობინებია, ქვირი დედოფალი წინააღმდეგია პეკინში დაბრუნებისა.

შტრასბი. ტყუილია „დეილი ექსპრეს“-ის ამბავი, რომ კრაუფერი უკანასკნელ იმედს ამყარებდა პეტერბურგზე, რუმელსაც ვითომდა მან მოაგონა გაავის კონფერენცია და მისგან ვითომ მიიღო არა სასურველი პასუხი.

პატარაზრბი. ქალაქის თვით-მმართველობამ გლენ-კაცების განთავისუფლებიდან ორმოცი წლის განვლის აღსანიშნულად დააარსა საქალაქო სახლი იმპერატორ ალექსანდრე II სახელობაზე და საქალაქო პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

რედაქტორი გამოემყვლი
 ალ. ჭყონასა. ალ. ჯაბადაია.

გაგონადები ცნობანი

ეტრბურგის ბარჯა 16 თებერვალს.

გექსელის კურსი 3 თვით:	
ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 ბარჯაში	45,87 1/2
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე	46,30
პარიზზე	37,60
ბირვის დისკონტი	5 3/4 — 7 1/2, 0/0
4 1/2% სახელმწიფო რენტა	— 96 1/8
4 1/2% შინაგანი სესხა 1893 წ.	— 100
4 1/2% გირავნ. ფურც. სახელ. სა- დაღ. მამ. ბანკისა	— 96 —
5 1/2% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	— 335 1/2
5 1/2% მეორე შინაგ. სესხის მომ- გებ. ბილ. 1866 წ.	— 295 1/4
5 1/2% გირავნ. მომგ. ფურც. სა- ხელმ. სადაღ.-მამ. ბანკისა	— 219 1/2
3 1/2% გირავნ. ფურ. იმავე ბან- კისა	89 —
ტფილ. სადაღ.-მამ. ბანკი 5 1/2% გირავნ. ფურცელ	— 93 3/8
4 1/2% გირავნობა: ფურც. იმავე ბანკისა	87 1/2 —

ქუთ. სადაღ.-მამ. ბანკის 6 1/2%	
გივ. ფურცელ	100 —
5 1/2% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	93 —
5 1/2% ოპოლიციათი	— 93 —
ლიტო სასოფ.	— 93 —
4 1/2% ოპოლიციათი: იმავე ბანკისა	— 93 —
ლოგებისა	— —

6 იხრი

ხორცი ძრხხისა	1 გ. 8 1/2
სუკი	— 15 —
ცხვრისა	— 8 1/2 —
ღორისა	— 9-11 —
კამეხისა	— 8 —
ღორის ბარჯალი სალორეთ	— 14 —
(ძრხხისა და ცხვრის ხორცს იის ფერა ბეჭდვად ადეკს, კამეხს—მწვანე, ღორს—ღამა).	
ჭური ფურხისა	I ხარ. 1 გორ. 5
„	II „ „ „ 3 1/2
„	III „ „ „ 3
იგივე თორხისა	I „ „ „ 5
„	II „ „ „ 4
„	III „ „ „ 3 1/2
დავაში ჭვ. მამ.	I „ „ „ 6
„	II „ „ „ 4

ტფილისის ბაზრები:

გაიფიდა შეიღებუბე:	ვოკსაღვ
ფუთა. მან. კან. მან. კან.	
ხორბალი საუკეთესო	1 1 30 1 20
„	1 1 15 —
ქერი	1 — 70 —
სიმინდი	1 — 65 —
ფქვილი სოფლისა	1 1 20 —
„	1 1 10 —
„	1 — 30 —
კომბოსტო	1 — 65 —
კარტოფილი	1 — 40 —
სასვი	1 — 25 —
თიჯა	1 — 23 —
პაჭე	1 — 23 —

შეშა რხხილისა 1 სრული სუკ. საწოებში 38 მან., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. — კამეხიდან 4 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. — კ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძრხხი და ხარი ქაჭური საკლავი 22 მ.-დან 45 კ.-მდე ხარი შესამელო 40 მ., კამეხი 60 მ., კამეხი საკლავი 26 მ.-დან 34 მანუამდე.

მიომსვლა ჩინის ზვის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათო ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქში გადის კვირამი ერთხელ—თხზაათობის დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქში ჩადის სადამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქიდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.). ტფილისში ჩამოდის სადამის 8 ს. 12 წ. ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქიდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1 წ.). ტფილისში ჩამოდის საშუაღვეის 5 სსათ 35 წ. (6 სსათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის სადამის 6 სსათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.). ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქიდან ტფილისში გადის საშუაღვეის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის სადამის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამის 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქში გადის სადამის 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.). ბაქში ჩადის შუაღდის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქში გადის შუაღდის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.). ბაქში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).